პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ იანვარი _____ 2026 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერიის ვარსკვლავისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 თებერვლის №353 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ---- იანვრის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერიის ვარსკვლავისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 თებერვლის №353 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს განკარგულების მე-3 მუხლი:

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერიის ვარსკვლავის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212887713) მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს, სამეწარმეო სუბიექტის საკუთრებაში არსებული, ილია ჭავჭავაძის გამზირი №67ბ-ში განთავსებული სავაჭრო ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და სატრანსპორტო ნაკადების ორგანიზებისათვის, ასევე, ავტოსადგურის ფუნქციონირებისათვის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" - მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი: დავით ნიშნიანიძე

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერიის ვარსკვლავისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 თებერვლის №353 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას გასულ წელს მომართა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერიის ვარსკვლავის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212887713) დირექტორმა მირანდა გოქაძემ და წარმოდგენილი ,,ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ავტოსადგურის წინამდებარე ტერიტორიაზე არსებული სამგზავრო ტრანსპორტის გაჩერების ადგილის რეორგანიზაცია-რეკონსტრუქციის პროექტის" გათვალისწინებით, ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №67 ბ-ში აშენებული სავაჭრო ცენტრის ფუნქციის აღდგენისა და ასევე, მიმდებარე ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტრანსპორტის ქაოსური მოძრაობის ორგანიზების მიზნით, ითხოვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №03.04.26.046 მიწის ნაკვეთის ნაწილის (578 კვ.მ.), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, ,,ე.ე" ქვეპუნქტისა ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების მოთხოვნათა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერიის ვარსკვლავისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 თებერვლის №353 განკარგულებით" დაინტერესებულ პირს, გარკვეული მიზნობრიობით, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის გამზირი №67ბ-ში განთავსებული სავაჭრო ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და სატრანსპორტო ნაკადების ორგანიზებისათვის, სარგებლობის უფლებით გადაეცა მუნიციპალური ქონება.

2025 წლის 25 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (10/4425360102; 26.12.2025), მომართა შპს ,,იბერიის ვარსკვლავის" წარმომადგენელმა. ითხოვა სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების (ს/კ 03.04.26.046) მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება, კერძოდ, ავტოსადგურის ფუნქციონირებისათვის, რათა შემდგომ განხორციელდეს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება. იჯარის ფორმით გადაცემულია ქონების (ს/კ 03.04.26.046-დან) ნაწილი (ფართობი 578კვ.მ), როგორ ზემოთ არის აღნიშნული, სამეწარმეო სუბიექტს სარგებლობაში გადაეცა ილია ჭავჭავაძის გამზირი №67ბ-ში განთავსებული სავაჭრო ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და სატრანსპორტო ნაკადების ორგანიზებისათვის. შესაბამისად, მხოლოდ სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგების ფარგლებში, სრულად ვერ ხერხდება მისი ფუნქციური დანიშნულებით გამოყენება. მიზანშეწონილია, სამეწარმეო სუბიექტის მიერ სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოყენებული იქნას ავტოსადგურის ფუნქციონირებისათვის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" - მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, ,,ე.ე" ქვეპუნქტისა ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერი, მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს თანხმობით არის უფლებამოსილი, მოახდინოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი ან არაპირდაპირი წესით, პირობებით ან უპირობოდ განკარგვა.

საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერი, მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს თანხმობით არის უფლებამოსილი, მოახდინოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი ან არაპირდაპირი წესით, პირობებით ან უპირობოდ განკარგვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერიის ვარსკვლავისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 თებერვლის №353 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი: დავით ნიშნიანიძე